

პ. სავიცი

სტეპი და მკვიდრობა

თარგმნა ვია ჯოხაძემ

რუსეთის მდებარეობა მის გარემომცველ სამყაროში სხვადასხვა თვალსაზრისით შეგვიძლია განვიხილოთ. შესაძლოა, მისი ადგილი ძველი სამყაროს დასავლეთი ნაწილის „ცალკეულ ისტორიათა“ რიგში განისაზღვროს, სადაც მისი კულტურის ისტორიული კერებია განთავსებული. შესაძლოა, ძველი სამყარო ერთგვარ ერთიანობადაც აღვიქვათ.

ამ სტატიაში გვსურს რამდენიმე - ისტორიული და სამეურნეო-გეოგრაფიული - შენიშვნა გამოვთქვათ, რომლებიც ძველი სამყაროს, სწორედ როგორც ერთიანობის, ისტორიული ბედისა და გეოგრაფიული ბუნების განხილვას გულისხმობს. ამგვარი აღქმისას ყალიბდება ურთიერთდაპირისპირებულობა - ერთი მხრივ, ძველი სამყაროს „განაპირა-ზღვისპირა“ ოლქები - აღმოსავლეთით (ჩინეთი!), სამხრეთით (ინდოეთი და ირანი!) და დასავლეთით („შუახმელეთი“ და დასავლეთ ევროპა!) - და მეორე მხრივ, ტრამალებში მოხეტიალე მომთაბარეთა, „თურქთა“ თუ „მონგოლთა“ სამყარო. ეს ურთიერთდაპირისპირებულობა მკაფიოს ხდის ძველი სამყაროს ისტორიის მექანიკას უკანასკნელ ათასწლეულებში, ანუ ორი კულტურის ურთიერთდამოკიდებულების წვდომას გვიადვილებს: ერთი მათგანი „განაპირა-ზღვისპირა“ სფეროების ცოდნით შეზრდია განსაზღვრულ ტერიტორიას, ითვისებს ამ შემოქმედებას და, მომთაბარეობისა და ბრძოლების დროს, სხვას, ტერიტორიულად ასევე „უძრავ“ სამყაროს, გადასცემს „სტეპურ კულტურას“...

უწინარესად, ეს უნდა აღვნიშნოთ: „მონგოლობის“ გარეშე რუსეთი ვერ იქნებოდა. არაფერი იყო იმაზე უფრო შაბლონური და, ამავე დროს, არასწორიც, ვიდრე განდიდება მონგოლობამდელი „კიევის რუსეთის“ კულტურული განვითარებისა, რომელიც თითქოს მონგოლთა შემოსევებმა შეაყოვნა და გაანადგურა. სულაც არ გვინდა მე-11-12 სს. ძველი რუსეთის გარკვეულ - და დიდ - კულტურულ მიღწევათა უარყოფა; მაგრამ ამ მიღწევათა ისტორიული შეფასება მცდარია, რადგან არ არის აღნიშნული პოლიტიკური და კულტურული დაქუცმაცების პროცესი, ასე აშკარად რომ მიმდინარეობდა მე-11 ს. პირველი ნახევრიდან მე-13 ს. პირველ ნახევრამდე მონგოლობამდელ რუსეთში. ეს დაქუცმაცება გამოიხატა მე-11 ს. შედარებითი პოლიტიკური ერთიანობის შეცვლითა და მომდევნო წლების მასშტაბური ქაოსით; ეს აისახა მატერიალური შესაძლებლობების დამცრობაზეც, მაგალითად, მხატვრულ სფეროში. არქიტექტურაში ეს დაცემა იმით გამოიხატება, რომ ეპოქის ყველა ძირითადი, მსხვილი, მდიდრულად მორთული ტაძარი ადრე აშენებულია; მოგვიანებით აგებული კიევის სავანეები ფერმკრთალდება წმ. სოფიის ტაძართან, ჩერნიგოვისა - წმ. მაცხოვრის ტაძართან, ნოვგოროდისა - ნოვგოროდის წმ. სოფიის ტაძართან, ვლადიმირ-სუზდალისა - მიძინების სახელობის ტაძართან შედარებისას. უცნაურია „მხატვრულ-მატერიალურ“ შესაძლებლობათა „უკუგანვითარება“: შემდგომი ევოლუციისას უდიდეს მიღწევად მიჩნეული - თავდაპირველად, „დანაოჭებული“, მასშტაბშემცირებული - ტაძრები: ამის შემამრწუნებელი კონტრასტია იმავე პერიოდის დასავლეთის რომანულ-გოთიკური არქიტექტურის განვითარება!

თუ მე-11 ს. კიევის წმ. სოფიის ტაძარი ზომითა და მორთულობით ღირსეულად ეპაექრება თავის თანადროულ რომანულ ტაძრებს, როგორ შეედრებიან 1215 წელს დასრულებულ პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს მისი რუსული თანამედროვეები - იურიევ-პოლსკის წმ. გიორგისა და ნერედიცას მთაზე აგებული ნოვგოროდის მაცხოვრის ტაძრები? არ შეეძლებოდა ჩამოთვლილ ეკლესიათა ესთეტიკურ ღირსებებს; მატერიალური სიმდიდრის თვალსაზრისით, მე-13 ს. რუსეთი არარაობაა; დასავლეთთან შედარებით - მასშტაბები ათმაგად, ასმაგად განსხვავდება; ეს ჭეშმარიტი „ჩამორჩენილობა“ დამყარდა არა თათარ-მონგოლთა შემოსევების შედეგად, არამედ მონგოლთა უღლამდე!

ის სასოწარკვეთილება, რომლით მოცული რუსეთიც თათრებს ჩაჰბარდა, არალოგიკური იქნებოდა, „საბედისწერო შემთხვევითობად“ მიგვეჩნია; მონგოლობამდელ რუსულ ყოფაში არსებული მერყეობის ელემენტი, დეგრადაციისაკენ მიდრეკილება უცხოტომელთა უღლის გარდა ვერაფერს მოიტანდა. ეს მთელი რიგი ხალხების საერთო ნიშან-თვისებაა; ცალკეულ სლავურ ტომთა შუა საუკუნეებისა და უახლესი ისტორია ერთი და იმავე შაბლონით აგებული გეგონება: ერთგვარი თავდაპირველი აყვავება, შემდეგ კი, კეთილდღეობის განმტკიცების ნაცვლად - გახრწნა, დაცემა, „უღელი“... ასეთი ისტორია აქვთ გასლავებულ ბულგარელებს, სერბებს, პოლონელებს. ასეთივე ბედი ერგო მონგოლობამდელ რუსეთსაც. მას ბედმა გაუღიმა, რომ მაშინ, როცა შინაგანი დაქუცმაცების შედეგად, ის-ის იყო, უნდა დაცემულიყო, მონგოლებს ხვდა წილად და არა - სხვებს. მონგოლობა - „ნიეტრალური“ კულტურული გარემო, რომელიც იწყნარებდა „ყველანაირ ღმერთს“ და „ყველანაირ კულტს“ - რუსეთს ღვთის რისხვად დაატყდა თავს, მაგრამ მონგოლობას ეროვნული შემოქმედების სიწმინდენი არ შეურყვნია. რუსეთი „ირანული ფანატიზმითა და ეგზალტაციით“ დაავადებულ თურქებს რომ ხვდომოდა, უფრო მეტად დაიტანჯებოდა, უფრო მწარე ბედს ეწეოდა. რუსეთს რომ დასავლეთი დაჰპატრონებოდა, სულს ამოართმევდა... მონგოლებს რუსეთის სულიერი არსი არ შეუცვლიათ; მაგრამ სახელმწიფოებრიობის, მილიტარიზებულ-ორგანიზებული ძალის შექმნის იმ ეპოქისათვის გამორჩეული თვისებით უთუოდ იმოქმედეს რუსეთზე.

მაგალითის ძალამ თუ მმართველებში მათი სისხლის ჩანერგვამ რუსეთი შეაიარადა, სახელმწიფო-იძულებითი ცენტრი შეაქმნევინა, სიმყარისათვის მიაღწევინა; მონგოლებმა მიანიჭეს რუსებს თვისება - ძლევამოსილ „ურდოდ“ ქცეულიყვნენ.

და იქნებ, არა მხოლოდ ეს: მხოლოდ სისასტიკე და სიხარბე არ იყო საკმარისი შუა მონგოლეთიდან კიევამდე, ოფენამდე, ანგორამდე და ანკგორამდე მისაღწევად. ამისთვის განსაკუთრებულად უნდა გეგრძნო სტეპები, მთები, ოაზისები და ტყეები, უსაზღვრო შემართება უნდა გქონოდა... პირდაპირ ვთქვათ: მსოფლიო ისტორიის სივრცეში ზღვის დასავლეთევროპულ აღქმას თანაბრად, თუმცა კი, პოლარულად, კონტინენტის მხოლოდ მონგოლური აღქმა უპირისპირდება; ამასთან, რუს „მოგზაურებშიც“, რუსულ დაპყრობათა და ათვისებათა გაქანებაში იგივე სულისკვეთება, კონტინენტის იმავენაირი აღქმაა. თუმცა, მონგოლები, ნამდვილი „კოლონიზატორები“ არ იყვნენ, რუსები კი არიან: ამის დასაბუთებად, სხვა არგუმენტებთან ერთად, ისიც გამოდგება, რომ მთელი რუსეთი არ „გამონგოლებულა“... თვით მონგოლ-თათართა უღელიც კი, რომელიც ხელს უწყობდა რუსეთის სახელმწიფოებრივ

ორგანიზებას, მანამდე მიძინებულ ჩვევათა ათვისებასა თუ გამოვლენას, ამავე დროს ქურაც იყო, რომელშიც რუსული სულიერი თავისებურება გამოდნა. ამ უკანასკნელის დვრიტა - რუსული ღვთისმოსაობაა. და ეს ღვთისმოსაობა - როგორც არის, როგორც კვებავდა და დღესაც ასაზრდოებს რუსულ სასულიერო ცხოვრებას - სწორედ მონგოლობის დროს ჩამოყალიბდა. მონგოლობამდელ რუსეთში ცალკეული ნიშნები თუ მინიშნებებია; მონგოლთადროინდელში - მისტიკური ჩაღრმავების სისავსე და წვდომა! მისი საუკეთესო ქმნილება რუსული რელიგიური მხატვრობაა: ამ უკანასკნელის აყვავების პერიოდი „მონგოლ-თათართა უღლის“ ფარგლებში თავსდება! ეს გამაოგნებელი წინააღმდეგობაა: ღვთის რისხვის როლის შემსრულებელმა მონგოლებმა განწმინდეს რუსეთი, თავიანთი მაგალითით ძლევამოსილების ჩვევა შთაუწერეს - ამ წინააღმდეგობაში კრთის რუსეთის ორმაგი სახე. რუსეთი - დიდებულ ყაენთა მემკვიდრე, ჩინგიზისა და თემურის საქმის გამგრძელებელი, აზიის გამაერთიანებელი; რუსეთი - „განაპირა-ზღვისპირა“ სამყაროს განსაკუთრებული ნაწილი, ღრმა კულტურული ტრადიციის მტკირთველი... მასში ერთმანეთს ისტორიულად ერწყმის „მკვიდრი“ და „სტეპური“ სტიქიები...

II

მონღოლ-თათართა ეპოქაში რუსი მოსახლეობა, როგორც ჩანს, სტეპების სიღრმეში კი არ ინაცვლებდა, არამედ „ტყე-სტეპთა“ მნიშვნელოვან ნაწილს - დნეპრისპირეთს, დესნასპირეთსა და სხვ. - იკავებდა. თათართა ბატონობისას რუსი ხალხი ტყეს აფარებდა თავს. მონღოლ-თათართა ეპოქის შემდეგ მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტად იქცა რუსების სტეპებში განსახლება, სტეპის პოლიტიკურ-ეთნოგრაფიული ათვისება. მე-20 ს. დამდეგს ეს პროცესი შავი და აზოვის, ასევე, ნაწილობრივ, კასპიის ზღვისპირეთისა და შუა აზიის „სტეპურ“ სივრცეებში დასახლებით დასრულდა. მის ყოფაში არსებული „სტეპური“ წყობის (აზიურ *par excellence*) ნიშან-თვისებათა მიახლოებით „განაპირა-ზღვისპირა“ დასავლურ კულტურათა ხასიათთან დღევანდელი რუსეთი, ტერიტორიული თვალსაზრისით, ოლქთა ის კომბინაციაა, რომელიც არსებითად, „ევროპისმიღმურ“ ზოგ დასვლეთევროპულ რაიონთა გეოგრაფიულ ბუნებას წარმოაჩენს. სატყეო და ტყე-სტეპთა ზოლის ნაწილი - კრივიჩების, დრევილიანების, სევერიანების, პოლიანებისა და სხვათა მიწა-წყალი - გერმანიის მსგავსი, ელბის აღმოსავლეთით მდებარე ევროპულ ქვეყანათა ოდნავ სახეცვლილი ასლია - ზოგადად, ნალექთა იმავე რაოდენობით, იმავენაირი ნიადაგითა და ოდნავ განსხვავებული კლიმატით, რომელიც დიდად არ მოქმედებს ნათესთა აღმოცენებაზე... რუსული დასახლების უკიდურესი ჩრდილოეთი - ოლონეცკისა და არხანგელსკის გუბერნიათა დასვლეთი მხარე - სკანდინავიის ნაწილი გეგონებათ, რომელიც ამ უკანასკნელის ყველა ძირითად კლიმატურ ნიშან-თვისებას ფლობს, თუმცა კი, ჰავის რამდენადმე „სიმწირით“ გამოირჩევა... რუსის სტეპთან დამოკიდებულების თავისებურება ის არის, რომ რუსული ეთნოგრაფიული სტიქია ამ მომთაბარული ყოფისათვის განკუთვნილ სივრცეს სამიწამოქმედო ოლქად გარდაქმნის... ჩრდილოეთ ამერიკაში, განსაკუთრებით, მის აღმოსავლეთ ნაწილში, ევროპელი გლეხები მათთვის ჩვეული კლიმატურ-ნიადაგური ვითარების მეტ-ნაკლებად ზუსტ ასლს აწყდებიან; ისინი მეურნეობის „ინტენსიფიკაციის“ ევროპულ მეთოდებს იქ დაუბრკოლებლად იყენებენ: ძირხვენებსა და საკვებად ვარგის ბალახეულობას თესენ. ქვეყნის ამგვარი ნათესებისათვის ხელმისაწვდომობას

ჩვენ გეოგრაფიულად „ევროპული“ ქვეყნის principum individuationis-სათვის გამოვიყენებთ (ვგულისხმობთ მიწა-წყალს, რომელიც ხელოვნური მორწყვის გარეშეც ნაყოფიერია, რადგან ამ უკანასკნელი თვისების არსებობა გამორჩეულია და „ევროპას“ არ ახასიათებს!). უეჭველია, რომ ძირხვენათა და ბალახეულობის დათესვის გამოსადეგობის თვალსაზრისით, ურალამდელი რუსეთის მთელი სატყეო და ტყე-სტეპის მნიშვნელოვანი ნაწილი „ევროპულად“ მოიაზრება; ამიერურალშიც მოიძებნება „ევროპული“ რაიონები... მაგრამ ნუთუ რუსული სტეპიც „ევროპული“ აღმოჩნდება? განყენებულ-კლიმატური და სამეურნეო-პრაქტიკული ანალიზი სტეპის - არამხოლოდ ყირგიზეთისა და კასპიისპირეთის, არამედ აზოვისა და შავი ზღვისპირეთისა - ერთნაირ არასაიმედოობაზე მეტყველებს - აქ ძირხვენასა და ბალახეულობას ვერ მოიყვან (უსაშველო სიმშრალის გამო!). რუსულ სტეპში, რომლის სხვა ნაწილებში ხორბალი იზრდება, არც კარტოფილი იხარებს და არც - სამყურა. მაშინ, როცა სამმინდვრიანობიდან მემინდვრეობის სხვა სისტემებზე გადასვლა ევროპულმა მიწათმოქმედებამ, ძირითადად, სწორედ ამ დასახელებულ მცენარეთა სამეურნეო მიმოქცევაში შემოტანაზე დააფუძნა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არსებული აგრონომიის თვალსაზრისით, რუსული სტეპის ძირითადი სივრცე ვარგის სამმინდვრიან ოლქად განისაზღვრება. ეს დასკვნა არა მხოლოდ ტექნიკურ-სამეურნეო, არამედ ზოგად-კულტურული მნიშვნელობისაგაა. თუკი დასავლეთ, ჩრდილო-დასავლეთ და ცენტრალური რუსეთის მკვიდრთ თავიანთ სამიწათმოქმედო ყოფაში „სოფლის მეურნეობის ევროპეიზაციის“ ნებისმიერი დონის მიღწევა ძალუბთ, მაშინ სამხრეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთის, აღმოსავლეთისა და ციმბირის ზოგიერთი ნაწილის სამიწათმოქმედო წყობას უცილოდ დაესმის სამეურნეო ექსტენსიურობად წოდებული მოვლენის ტვიფარი. რუსული სტეპების ზოგიერთი ნაწილი კი, როგორც ჩანს, ვერასოდეს დასახლდება მიწის მუშებით და მომთაბარული მესაქონლეობისა და სპეციალური მეცხენეობის ოლქებად დარჩება (ე.წ. „აბსოლუტური“ მესაქონლეობის ოლქები). ისევ და ისევ: ეს გარემოება არა მხოლოდ ტექნიკურ-სამეურნეო, არამედ ზოგად-კულტურული მნიშვნელობისაა... ჩრდილო ამერიკისა და ავსტრალიისთვისაც ცნობილია ნახევარუდაბნოები და მშრალი სტეპები, თუმცა იქ ეს სივრცე მართლაც „გაუდაბურებულია“ - მას არ გააჩნია მნიშვნელოვანი ისტორიული წარსული, ბინადართა ჩამოყალიბებული ყოფა. სტეპი კი, რომელსაც რუსეთი უცქერს, ისტორიულია; ეს თურქთა და მონგოლთა სტეპია - ძველი სამყაროს ერთ უმთავრეს სტიქიათაგანი; ამ სტეპის ყორღანებსა და სამაროვნებში ის განძი ინახება, რომლის შიგთავსიც განსაზღვრავს მის მფლობელ ხალხებს, როგორც უძველესთა და უმდიდრესთ (ე.წ. ციმბირული სიძველენი, ნოვოჩერკასკის განძი და სხვ.). ექსტენსივობა, რომელიც სტეპის სამიწათმოქმედო წყობის უცილო ნიშან-თვისებად დარჩება, ერთგვარი საშუალებაა მიწათმოქმედ მოსახლეობაში „სტეპის თავისებური განცდის“ შესანარჩუნებლად. ფსიქოლოგიური და ეთნიკური თვალსაზრისით, „სტეპის“ მიწათმოქმედები განასახიერებენ მომთაბარე-მონგოლად, ყირგიზად, ყალმუხად გარდაქმნილ ეკონომიურ „ევროპელებს“, რომლებდაც შესაძლოა იქცნენ რუსეთის ტყისა და ტყე-სტეპის ზოლების ბინადარნი, მრეწველი მოსახლეობა, სადაც უნდა საქმიანობდეს იგი: ზემოთ დასახელებული ტომები კი არასოდეს გაქრებიან და არც შეიძლება, გაქრნენ...

თავისი არსებობის დასაწყისში ტყის ბინადარი და მიწათმოქმედი რუსი ხალხი უკანასკნელ ასწლეულებში ასევე „სტეპის“ მოსახლედ იქცა. ვიმეორებთ, ეს რუსეთის უახლესი ისტორიის ერთ უმნიშვნელოვანეს გარემოებათაგანია. რუსი ხალხი, რომელმაც თავისი განვითარების საწყის საუკუნეებში სტეპის ბინადართა გარეგნული გავლენა განიცადა, დღეს თითქოს თვითონ ითვისებს სტეპს. სტეპური საწყისი, რომელიც რუსულ სტიქიაში გარედან ჩაინერგა, როგორც მის საწყისთა ერთ-ერთი ნიშანი, უფრო და უფრო მყარ და ღრმა მნიშვნელობას იძენს, მისი განუყრელი კუთვნილება ხდება; და „მიწათმოქმედსა“ და „მრეწველთან“ ერთად, რუსულ ნაციონალურ მთლიანობაში ინახება თუ იქმნება „ხალხი-მხედარი“, რომელიც, მიუხედავად ამისა, ჯერაც სამმინდვრიანობას მისდევს...

III

რუსეთის ისტორიულ-გეოგრაფიული მდგომარეობის ამსახველი ერთიანობა, რომელიც რუსეთის არსებობას განსაზღვრავს, სამ ცალკეულ სასოფლო-სამეურნეო ამოცანად ვლინდება:

1. რუსეთის სოფლის მეურნეობის „ევროპეიზაციის“ პრობლემა: რუსეთის ოლქებში უნდა გამოიყენონ გაუმჯობესებული მიწათმოქმედების ყველა ევროპული შესაძლო მეთოდი; ეს ძირითადი ამოცანა უთვალავ უფრო მცირე ამოცანას გულისხმობს; იგი ეხება არა მხოლოდ მიწათმოქმედებას, არამედ მესაქონლეობასა და სხვ. „ევროპეიზებულ“ რუსულ ოლქთა ძირითად მასასთან ერთად, „ევროპულ“ პირობათა ოაზისად მოჩანს ევროპის განაპირა და აზიური მთისწინეთი: მაგ; სამხრეთ (მთისწინა) ყუბანი, ტვერის ოლქი, შვიდმდინარეთი და სხვ.
2. სტეპების სასოფლო-სამეურნეო წყობის შეთავსება თავისებურ, ევროპაში (და არა მხოლოდ იქ) სწორუპოვარ გეოგრაფიულ პირობებთან; ეს ამოცანა გარკვევით და მკვეთრად იყოფა ორ ნაწილად: უპირატესად, სამიწათმოქმედოდ და უპირატესად, სამესაქონლეოდ. პირველი ეხება სტეპების იმ ნაწილებს, სადაც სამიწათმოქმედო ყოფა დამკვიდრებულია ან შესაძლოა, დამკვიდრდეს; მეორე კი - „აბსოლუტურად“ სამესაქონლეო ოლქებს. სამიწათმოქმედო ოლქებთან დაკავშირებით მთავარი პრობლემა იკვეთება: თუ სამმინდვრიანობას შევინარჩუნებთ, მან გვალვას უნდა სძლიოს (ნაადრევად, რამდენჯერმე მოხვნა და სხვ.). არა მხოლოდ დასამუშავებლად, გამოსადეგი ყირგიზული, არამედ - შავი და აზოვის ზღვისპირა სტეპებიც ნალექთა ოდენობით სამიწათმოქმედო ზონის ზღვარზე არიან: ჩრდილო ამერიკაში, ნალექთა ოდენობის თვალსაზრისით, აკმოლინსკზე (200 მმ წელიწადში!) რომ არაფერი ვთქვათ, მელიტოპოლიც კი (350!), თავისი ხასიათით, უდაბნოს უახლოვდება (გრინვიჩიდან დასავლეთ განედის 105 გრადუსის დასავლეთით მდებარე რაიონები); და ეს ხდება წელიწადის დროთა მიხედვით, რუსეთსა და ამერიკაში ნალექთა განაწილების ურთიერთმსგავსი ვითარებისას; რელიეფის სისწორე, რომელიც ამერიკასთან (კლდოვანი მთები!) შედარებით უფრო ნაყოფიერია, ნალექთა შეთვისება, ნიადაგის ხარისხი, დასავლეთის შტატების სამხრეთ ნაწილებთან შედარებით, ასევე ტენის მარაგი,

რომელსაც ინარჩუნებს თოვლის საფარი ვეგეტაციის დაწყებამდე, რუსული სტეპების უპირატესობაზე მეტყველებს; მაგრამ იმისათვის, რომ მიწათმოქმედება გაძლიერდეს, სამიწათმოქმედო ყოფამ შემოქმედებითად და ბოლომდე უნდა გამოიყენოს ეს სასურველი, მაგრამ შეზღუდული და საკმაოდ თავისებური, თვისებები.

3. „რუსულ სამყაროში“ ოთხი სასოფლო-სამეურნეო ზონა ერთმანეთს ენაცვლება: პირველია „ევროპული“ მიწათმოქმედების ზონა (კარტოფილი და სამყურა); მეორე - სტეპური მიწათმოქმედების ზონა (ვარგისი სამმინდვრიანობა, ხორბალი!); მესამე - „აბსოლუტური“ მესაქონლეობის ზონა; ბოლო მათგანი უდაბნოა, სადაც არც ნათესის მოყვანა შეიძლება და არც საქონლის ძოვება. და აი, უდაბნოს გადასალახად, ჩნდება ხელოვნური რწყვის ზონა... შემორჩენილი ნაშთების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მუღანის სტეპის, სპარსეთის ასტრაბადისა და სხვა პროვინციათა, ავღანეთის, ჩინეთის, ასევე, ნაწილობრივ რუსული თურქესტანის რწყვის სისტემა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია ადრე - ისტორიულ წარსულში - არსებული სისტემისა. ბუნებრივ პირობათა წანამდგრები, ე.ი. გამოსაყენებლად ვარგისი წყლის რესურსები ისევ არსებობს; მხოლოდ ადამიანური ნება გაქრა. თუ რუსი ხალხი ვერ შეძლებს ზემოთ ჩამოთვლილი ტერიტორიების რწყვის სისტემის აღდგენასა და გაფართოებას, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს პრობლემა იოლად გადასაჭრელი და, რაც მთავარია, საინტერესო აღმოჩნდეს რომელიმე თანამედროვე ხალხისათვის. ზემოთ დასახელებული ქვეყნები ბამბას, სამხრეთული ხილს, ბრინჯს „რუსულ სამყაროში“ აწარმოებენ და სხვებს ხარკად არ უხდიან, რაც მათ განავითარებს: რუსეთი ხომ სწორედ ამ უკანასკნელებთან შეხებით ემიჯნება სუბტროპიკულ ზონას; მაშინ, როცა საოკეანო მეურნეობის არსებობის პირობებში, ზღვასთან რუსეთზე უფრო მარჯვედ განლაგებული ყველა ქვეყანა, „ეხება“ ზღვისპირა სუბტროპიკულ ქვეყნებს... სტეპზე გავრცელებული კოლონიზაციით რუსეთი სტეპურ სამყაროს უნათესავდება; „ძველი“ აზიის აღდგენის ამოცანით რუსეთი აღმოსავლურ კლუტურათა სამყაროს უახლოვდება...

სამეურნეო კატეგორიებით ასე ვლინდება რუსეთის სახე, როგორც ძველი სამყაროს ტერიტორიული „ცენტრისა“, ეკონომიკური „ევროპისა“ და „აზიის“ შეუღლებისა, „ევრაზიისა“ - არა მხოლოდ ზოგადკულტურული ან ზოგადისტორიული, არამედ - სამეურნეო-გეოგრაფიული თვალსაზრისითაც... რუსეთის სახელმწიფო, თანამედროვე ფარგლებში, პოტენციურად არა მხოლოდ ძველი სამყაროს ნაწილია, არამედ - მისი ერთიანობის ერთგვარად დამცრობილი ასლი. თუ რუსულ სფეროში მონგოლეთისა და აღმოსავლეთ თურქესტანის ჩართვას წარმოვიდგენთ, რუსული მეურნეობა მოიცავს ისტორიული „სტეპური“ სამყაროს ერთიანობას, ძველი კონტინენტის მთელ „ცენტრალურ“ ნაწილს. და ამ სამყაროს, რუსეთის ფარგლებში, შეუერთდება „განაპირე-ზღვისპირა“ დასავლეთ-ევროპული და ასევე, „ირანის“ სფეროს გარკვეული ოლქები. ამ უკანასკნელს, სამეურნეო-გეოგრაფიული თვალსაზრისით, შეიძლება მივაკუთვნოთ ასევე შუააზიური „თურქესტანები“, რომლებიც ხელოვნური რწყვის სფეროში შედიან და შესაბამისად, მომთაბარე „თურქებისა“ და „მონგოლების“ მიერ დაკავებულ სივრცეს არ

განეკუთვნებიან. ეს რაიონები, როგორც ასეთნი, როგორც „განსაზღვრულ ტერიტორიას ჩაზრდილი“, „უძრავი“, „მკვიდრი კულტურის“ ოლქები, მატერიკის სიღრმეში შექრილ „განაპირა-ზღვისპირა“ სამყაროთა ემპორიუმს ჰგვანან.

ამ შეუღლებას ერთვის რუსული მიწების „ხმელთაშუაზღვისპირეთთან“ დაახლოებაც. დღეს ეს ხორციელდება სამხრეთ ყირიმისა და კავკასია-შავი ზღვისპირეთის ფლობით.

„ცენტრალური“ სამყაროს „განაპირა მხარეთა“ გარკვეულ ნაწილთან შენივთებით რუსეთი-ევრაზია მოიცავს ძველი სამყაროს „ბირთვის“, „გულისგულს“. ამის მიღმა რჩება „განაპირა მხარეები“, რომლებიც ზღვაში შექრილა. ეს მდებარეობა ამ „განაპირა მხარეებს“ საოკეანო მეურნეობაში თანამონაწილეობისათვის გამოსადეგს ხდის. რუსეთ-ევრაზიის მეურნეობა კი, განვითარების პერსპექტივით, განსაკუთრებულ შიდაკონტინენტურ სამყაროს ქმნის...

არსებობს ეკონომიკური და პოლიტიკური ამოცანების გარკვეული ურთიერთკავშირი. ეკონომიკური ამოცანები მხოლოდ მყარი პოლიტიკური წყობის პირობებში, მასშტაბური pax rossica-ს მფარველობით თუ გადაიჭრება. ამ უკანასკნელის დასახვისას ჩვენი მზერა მხოლოდ pax romana-ს არ უნდა მიეყინოს. რა ამაზრზენიც უნდა იყოს მონგოლთა ბატონობა, თავისი წარმოშობითა და გაფართოებით, მშვიდობიანობა, ისტორიაში ცნობილთაგან ყველაზე მასშტაბური, pax mongolica გახლდათ - ეპოქა, რომელშიც „ვაჭრები და ფრანცისკელი ბერები“ დაუბრკოლებლად დადიოდნენ ევროპიდან ჩინეთში, მე-13-14 სს. რუსი თავადები შეუფერხებლად (თუმცა, უხალისოდ!) მიემგზავრებოდნენ ყაენისთვის თავყანის საცემად იმ ქვეყნებში, რომლებში შეღწევასაც მე-19 ს-ში ძნელად ახერხებდნენ პრუევალსკი, გრუმ-გრჟიმაილო, პოტანინი...

შიშმილით სიკვდილის პირობებში, რომელიც დღეს მილიონობით რუსს ემუქრება, მოვალეობის მოხდის ვითარებაში, რომელსაც ნებისმიერს აკისრებს ეს საშინელი დამღუპველი საფრთხე, რუსეთის ეკონომიკურ ბუნებასა და შესაძლებლობებზე სჯა-ბაასი, შესაძლოა, ზმანებად მოგეჩვენოთ. დიახ, ეს მძიმე და მკაფიო მოვალეობა არსებობს. დიახ, არსებულ ვითარებაში ეს სჯა-ბაასი მართლაც ზმანებაა. მაგრამ არსებობს სიზმარი, რომელშიც უზენაესი რეალობა სახლობს, და სწორედ ამგვარად მიგვაჩნია რუსეთის სამეურნეო სახე.

რუსეთი, თუკი გადარჩება, მხოლოდ მეურნეობაზე ზრუნვითა და მისი „ინტენსიფიკაციით“ როდი გადარჩება. სულიერ ნათებასა და წვაზე გადის წინასწარმეტყველური გზები. სულსაც მივეახლოთ, მაგრამ ცოდვა და სიბრყველი იქნებოდა ღვთის მიერ ბოძებული ხორცის დავიწყებაც...

სულის დამაბვისას, უბედურებათა დამღვევისას მშობელი ქვეყანა დასაორკეცებლად და სამშობიაროდ თავგადადებულ ქალსა ჰგავს. როცა მისკენ დაიხრებით, წმინდა სიყვარულით გიყვარდეთ მშობელი მიწის სხეული: ვოლხოვის ნაპირებზე მობიბინე ზურმუხტოვანი ველები! ჩაყვითლებულ-ჩაკრიალებული, თავთავებით სავსე სტეპი! იდუმალ შორეთში - მატერიკის ხელუხლებელ სიღრმეში აღმართული გოლიათი მთები, რომლებსაც ცისკენ აუშვერიათ თოვლის გვირგვინები, წყლის ნაკადები... ეს ჭავლები

სარწყავ არხებად დაყავით; დაე, ღვთის მადლით, იყვავილოს ედემმა - იქ, სადაც ოდესღაც ყვაოდა და აწ აღარ არის. დახანით ჯერ გუთანგაუვლელი სტეპები. დაე, გაუგონრად უფართოეს სივრცეებში ახმაურდნენ და შეირხნენ ჭკავისა და ხორბლის ზღვები...

ავტორის მენიშვნები:

როგორც ცნობილია, კარტოფილი ევროპაში ამერიკიდან შემოიტანეს. მაგრამ სწორედ ევროპაში იქცა სოფლის მეურნეობის უმთავრეს კულტურად.

იხ. ხალხთა გადასახლების დროინდელი სიძველეებისადმი მიძღვნილი კრებული, ნ.პ. კონდაკოვის გამოკვლევა „რუსულ სიძველეთა“ თაობაზე (გრაფ ი. ტოლსტოის გამოცემა, ს-პეტერბურგი).

შესაძლოა, დაისვას საკითხი სტეპური სამიწათმოქმედო ზონის, კერძოდ, ვოლგისა და დნეპრისპირა დაბლობთა ხელოვნური რწყვის შესახებაც. რამდენადაც მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი უნდა იყოს სამომავლოდ ასეთი გავრცელება, მისი შესაძლო მნიშვნელობა არ უნდა გავაზვიადოთ. რელიეფისა და წყლის დებეტის გათვალისწინებით, შესაძლოა, ვიგულისხმოთ (ძირითადად, ჩრდილო ტავრიაში, სამარისა და ასტრახანის გუბერნიებში) არაუმეტეს მილიონი დესეტინის (რუსეთის თურქესტანის დღევანდელი საირიგაციო მოედანი დაახლოებით 2 მლნ დესეტინას შეადგენს) მორწყვაც. ეკონომიკური თვალსაზრისით, სივრცის მორწყვა შეუფასებელი რამ იქნებოდა, თუმცა, მაინც ძალიან მცირე - ათობით მილიონი დესეტინა სტეპის მოხვნასთან შედარებით.